Edward Rtveladze (1942-2022)

ედვარდ რთველაძე (1942-2022)

A Foreign Member of Georgian National Academy of Sciences, a Real Member of the Academy of Sciences of the Republic of Uzbekistan, Doctor of Historical Sciences, Professor Edward Rtveladze passed away. The obituary shades the merits of the deceased in science. The necrologue highlights the merits of the deceased in science

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედვარდ ვასილის ძე რთველაძე.

ე. რთველაძე დაიბადა 1942 წ.საქართველოში, ქ. ბორჯომში. 1967 წ. დაამთავრა ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი არქეოლოგის სპეციალობით. ამ დროიდან მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა სამუდამოდ დაუკავშირდა უზბეკეთს. უნივერსიტეტის დამთავრებიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა უზბეკეთის მეციერებათა აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც განვლო ნაყოფიერი სამეცნიერო გზა ლაბორანტიდან განყოფილების ხელმძღვანელამდე. პარალელურად უძღვებოდა სალექციო კურსებს ტაშკენტის თეატრალური და მხატვრული ხელოვნების ინსტიტუტში.

ე. რთველაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს შეადგენდა უზბეკეთისა და ზოგადად შუა აზიის ძველი და შუა საუკუნეების ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, კულტურა, ნუმიზმატიკა თუ ეპიგრაფიკა, რასაც მიუძღვნა რვაასზე მეტი სამეცნიერო მონოგრაფია და სტატია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იაპონიაში.

ე. რთველაძე მონაწილეობდა ასზე მეტი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში შუა აზიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კვიპროსზე, საფრანგეთსა და იაპონიაში. ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თოხარისტანის არქეოლოგიურ ექსედიციას, რომელმაც განაახლა ანტიკური ნაქალაქარის ქამფირთეფეს შესწავლა და, პირველად შუა აზიის არქეოლოგიური კვლევის ისტორიაში, სრულად გამოავლინა ქუშანური ხანის ქალაქი, აღადგინა მისი არქიტექტურული იერსახე და სტრუქტურა. მკვლევარის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მიღწევა, რასაც ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, ოქსოსის ალექსანდრიის (ძვ. წ. IV ს.) აღმოჩენა იყო სუხნადარის ტერიტორიაზე. მეცნიერის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან შეუძლებელია არ აღინიშნოს მონოგრაფია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი უძველესი საკონტინენტთაშორისო მაგისტრალის შესახებ.

ე. რთველაძე თავისი სამეცნიერო კვლევის შედეგებს სისტემატურად

აცნობდა სართაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას სხვადსხვა ფორუმებზე; ლექციებს კითხულობდა ვაშინგტონის, ლონდონის, პარიზის, ტურინის, ნიკოსიის, კიოტოს, სტოკჰოლმის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ის სათავეში ედგა უზბეკეთის კულტურული მემკვიდრეობის შეწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას.

ე. რთველაძის თვალსაჩინო ღვაწლი მეცნიერების წინაშე აღინიშნა უზბეკეთის არაერთი პრესტიჟული სახელმწიფო ჯილდოთი, რომელთა შორისაა ბერუნის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ე. რთველაძე ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, რომლის უცხოელი წევრიც იყო 2010 წლიდან და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

შეწყდა გამოჩენილი მკვლევარის მაჯისცემა, მაგრამ წარუშლელია მის მიერ შეტანილი წვლილი მეცნიერებაში, რომელსაც საზღვრები არა აქვს.

აკადემიკოსი **რ. მეტრეველი**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი,